უძლური ბოროტება

(„ივერია“, 1897, #161-162)

ქაჯაია მანანა

საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტი,
თბილისი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.20

აბსტრაქტი: *სტატიაში განხილულია იაკობ გოგებაშვილის წერილი „უძლური ბოროტება“ („ივერია“, 1897, #161–162), რომელშიც მწერალი გიორგი წერეთლის კრიტიკულ წერილს პასუხობს. გოგებაშვილი მკაცრად აკრიტიკებს „კვალის“ რედაქციას და ავტორს, რომელთაც უარყოფითად შეაფასეს მისი საბავშვო მოთხრობები „მოსავლის მცველი“ და „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კრიტიკა პირადულ საფუძველზეა აგებული და არა ლიტერატურული ან ისტორიული შეფასების კრიტერიუმებზე.*

გოგებაშვილი განსაკუთრებით იცავს „ერეკლე მეფე და ინგილო ქალის“ სიუჟეტს და ამტკიცებს, რომ იგი არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ ისტორიულად ცნობილი ამბავია, რომელსაც როგორც ხალხური გადმოცემა, ისე ალექსანდრე ორბელიანიც ადასტურებს. მასში გამოკვეთილია ქართველი ქალის გამბედაობის ტრადიცია, რომელიც აღბეჭდილია როგორც ისტორიულ ქრონიკებში, ისე საზოგადოებრივ მეხსიერებაში. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მსგავსი მაგალითები - თეკლა ბატონიშვილისა თუ სხვა გმირი ქალების ქმედებები - ქართველი ქალის ეროვნული თვითშეგნების დასტურია.

გოგებაშვილი ასევე წარმოაჩენს ქართველი გლეხობის მამულიშვილობასა და პატრიოტიზმს, რაც "კვალის" კრიტიკოსის მხრიდან უგულებელყოფილია. იგი ამაში ხედავს „კვალის“ სოციალური სუსტი მხარის გამოხატულებას და აკრიტიკებს გლეხობისადმი ზიზღის გამოვლინებებს. მიუხედავად პოლემიკური ტონისა, ავტორი გარკვეულწილად აღიარებს გიორგი წერეთლის, როგორც ნიჭიერი მწერლის, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების უნარს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი მკაცრი პოლემიკით გამოირჩევა, მასში მაინც იკვეთება წერეთლის, როგორც ნიჭიერი მწერლის, გავლენის აღიარება. სტატიამ ორივე ავტორის შემოქმედებითი დისკუსიის მაგალითზე წარმოაჩინა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კრიტიკული სივრცე.

საკვანძო სიტყვები: *იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, „ივერია“, „კვალი“, კრიტიკა, პოლემიკა, „უძლური ბოროტება“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, ქართველი ქალი, ეროვნული თვითშეგნება.*

შესავალი. ნაშრომში განხილულია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის წერილი „უძლური ბოროტება,“ რომელიც „ივერიის“ 1897 წლის #161-

162-ში დაიბეჭდა და საკმაოდ მკაცრი შეფასება მისცა გიორგი წერეთლის კრიტიკულ წერილს, რომელშიც ავტორი იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობებს „მოსავლის მცველსა“ და „მეფე ერეკლე და ინგილო ქალს“ განიხილავს. (წერეთელი, 1897)

ძირითადი ნაწილი. იაკობ გოგებაშვილი თავის წერილში წერს: „კვალი ბოლო ხანს ძალიან გამამაცდა ჩემს წინააღმდეგ, ისე გამამაცდა, რომ ლამის ფრთები შეისხა. მართალია, ჭიანჭველა რომ ფრთებს გამოისხამს, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო, მაგრამ სად ჭიანჭველა, და სად იმისთანა გოლიათი, როგორიც ბრძანდება ბ-ნი გიორგი წერეთელი, ამ უკანასკნელს ერთ ლუკმად არ ეყო, „ჩემი მოსავლის“ მცველნი, აიღო, უწყალოდ დაანიავა, მისცა წყალსა და მდინარესა. მათემატიკური აქსიომასავით დაამტკიცა, რომ იგი მავნებელი წიგნია, რადგანაც ქადაგებს აზრებს კარლ ფოხტისას, ბრემისას, ვაგნერისას, ბაღდაამოვიჩისას და სხვათა ბუნების მეტყველთა და არა „კვალის“ დიდ მეცნიერისას. ყბის მეორე მოქნევით ამ გოლიათმა შეუბრალებლად გადაყლაპა ჩემი პატარა მოთხრობა, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“... „კვალის“ მმართველნი თავის თავს სრული ნების ნებას აძლევენ, პირადად ჯავრი იყარონ ჩემზედ და ჩემს წიგნებზედ, მე კი მიკრძალავენ გამოსარჩლებას. ვის გაუგონიაო კრიტიკოსს გამოეცადოს ავტორი, რომელიმე ლიტერატურულის ნაწარმოებისაო. ამას სალიტერატურო ეთიკა ვერ შეიწყნარებსო...

„კვალის“ ვაჟბატონი მოგვაგონებს იმ მეთევზესა, რომელსაც სული მისდიოდა ბევრი თევზის დაჭერისათვის, მაგრამ ფეხების დასველებისა კი ძლიერ ეშინოდა. კითხვა და კილვა სხვისი მას ძლიერ ეამება...“ (გოგებაშვილი, 1897)

იაკობ გოგებაშვილი ბრალს სდებს გიორგი წერეთელსა და „კვალის“ რედაქციის პირად დამოკიდებულებათა განსაკუთრებულ წარმოჩენაში და ხაზს უსვამს, რომ მის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა პირადული ხასიათისაა. იგი ახასიათებს „კვალში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ შემდეგ წერილებს: „იაკობ სიმონის ძე და მისი სალარო“, „იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუპი ნაცნობი“ (გოგებაშვილი, 1897).

შეიძლება დავსვათ კითხვა, რას უწუნებს რედაქცია მოთხრობას „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“?

ამ კითხვის პასუხს თვითონ იაკობ გოგებაშვილი გვაძლევს: „იგი (გ . წერეთელი - მ. ქ.) ცდილობს, მკითხველს ჩააგონოს, რომ თემა მოთხრობისა შეუძლებელია. რა დასაჯერებელიაო, რომ თორმეტი წლის გოგოს, ისიც გლეხის შვილს, გამოეჩინოსო იმდენი უშიშრობა, რომ ზევიდან ხიდან დაეზიდოს ერთი ბღუჯა ქლიავი მეფე ერეკლესათვის, რომელიც მას ჰგონებია ყიზილბაში, სპარსელი, რადგან ქართული ქუდის მაგივრად თავზედ სპარსული ჩალმა ხურებიაო.“

იაკობ გოგებაშვილი წერს, რომ „ეს ამბავი არა თუ შესაძლებელია, არამედ ისტორიულ ფაქტად უნდა იქნეს აღიარებული. ეს თქმულება ძლიერ გავრცელებულია ქიზიყში და არა ერთს ქართველს ინტელიგენტს გაუგონია იგი.

გარდა ამისა, იგი, როგორც მომხდარი ფაქტი, მოჰყავს ალექსანდრე ორბელიანს ერთ თავის წერილში, რომელიც დაიბეჭდა რამდენსამე წლის წინათ „ივერიაში“. მას ეს ამბავი უნდა გაეგონა თავის დედისაგან, თეკლა ბატონიშვილისაგან, ხოლო ეს თეკლა ბატონიშვილი იყო უსაყვარლესი ქალი მეფე ერეკლესი, რომელიც მას თეკლა-ბიჭს ეძახდა, რადგან ვაჟკაცურ გამბედაობას იჩენდა თოფ-იარაღის ხმარებასა და ზოგიერთ სხვა საქმეშიც.

როცა ხალხის თქმულება და სამეფო გვარეულობის გადმოცემა ერთმანეთს ემთხვევა, არ შეიძება, არ ვირწმუნოთ იგი ჩვენ და არ მივიჩნიოთ ნამდვილ ისტორიულ ფაქტად. ყველა გარემოებიდან ჩანს, რომ ინგილო გოგო იყო დაჯილდოებული ბუნებით სწორედ ამ განსაკუთრებული გამბედაობით და მისი მოქმედება არ განიზომება ყოველ-დღიური ტიპით,

ჩვეულებრივი ალიბით. რაც ჟანა დარკმა უშიშრობა და გამბედაობა გამოიჩინა, ყოვლად შეუძლებელი იყო ყველა სხვა ფრანგი ქალისთვის, ხოლო სხვებისთვის შეუძლებელი მან სისრულეში მოიყვანა, რადგანაც ბუნებას მისთვის მიენიჭებინა მაღალი ხასიათი, ძლიერი იშვიათი უნარი და შეუპოვრობა..

ქართველი ქალი ყოველთვის ცნობილი იყო მორცხვობით, მოკრძალებითა და ინგილო გოგო როგორ გამოიჩენდა ამისთანა კადნიერებასო. ბარემ ისიც დაემატებინათ, ქართველი ქალი ხეზე ასული არავის უნახავსო... შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ჯერ მეფე ერეკლეს უშიშარი ქალი, თეკლა ბიჭად წოდებული, მერე ანდრონიკაშვილის რძალი, რომელსაც წარსული საუკუნის დამლევს, როცა თბილისიდან მუხრანს მიდიოდა, მცხეთის ზევით, ღართიკარში, წინ გადაეღობა ლეკთა გუნდი - მაგრამ მან მამაცურად თავისი ჯარით იერიში მიიტანა და გაფანტა და ეს გამარჯვება ქართველის ქალისა მთელმა თბილისმა იდღესასწაულა ჩირაღდნებით და საერთო ლხინით... ქართველი ქალის ამისთანა გაბედულობით სავსეა ჩვენი ისტორია და მეტადრე საინგილოს წარსული.

ჩვენთვის ოდითგანვე ცნობილია, რომ საინგილო, როგორც განაპირა კუთხე საქართველოსი, ხშირად იყო ბრძოლის თეატრად. მას აწიოკებდნენ ლეკები, სპარსელები, ყიზილბაშები. ინგილოები მცირედნი იყვნენ. მტარვალები ხშირად იტაცებდნენ ქალებს, განსაკუთრებით, ლამაზებს და ტყვედ მიჰყავდათ. ქვეყანა ოხრდებოდა და განადგურდებოდა, მამაკაცთა ძალას რომ არ მიშველებოდა ქალთა ძალა. სწორედ ამ სასტიკ გარემოში იბადებოდა, იზრდებოდა და იბრძმედებოდა ქალი.“ (გოგებაშვილი, 1897)

იაკობ გოგებაშვილი გიორგი წერეთელს ბრალს სდებს იმაში, რომ იგი არ არის ნამდვილი ისტორიკოსი, რადგან არ იცის ისტორიული წარსული.

იმის დასამტკიცებლად კი, რომ გლეხობა უფრო ძლიერი სამშობლოს სიყვარულით გამოირჩეოდა, იაკობ გოგებაშვილი ასახელებს სამასი არაგველის გმირობას: „ყველა მათგანმა უკანასკნელ კაცამდე თავი შესწირა მამულს, ყველამ კრწანისის ველზე დალია გმირული სული მამულის გულისათვის. არც სახელი მათი და არც გვარი, არ დარჩენილა ისტორიაში და არც იმედი ჰქონდათ ამისი მათ. აი, მაგალითი ჩემი შინაგანი ინტენსიური წმინდა მამულიშვილობისა.“

იაკობ გოგებაშვილი ქართველ გლეხობაში სამშობლოს დიდი სიყვარულის ნათელსაყოფად ასახელებს აგრეთვე კავთისხეველი გლეხის, ქვლივიძის მეუღლის მაგალითს: „ამას უფრო მახლობელი კავშირი აქვს ინგილო ქალის ამბავთან. ქართლის მეფე სიმონ, დამარცხებული სამეგრელოს ჭაობებში, მარტოდ-მარტო წამოვიდა თბილისისაკენ, გადმოიარა კორტოხი, ჩამოვიდა ქართლში და კავთისხევს რომ მიუახლოვდა, ღამემ უსწრო. ამ სოფელში მაშინაც ცხოვრობდნენ და ეხლაც ცხოვრობენ თავადნიც და აზნაურნიც. მაგრამ მან ამათ ყველას გვერდი აუქცია და ესტუმრა გლეხი ქვლივიძის ოჯახს. ეს გლეხი და უფროსი შვილები სალაშქროდ იყვნენ სამეგრელოში, სვიმონ მეფის ჯარში და ამიტომ სტუმარი მიიღო გლეხის ცოლმა, რომელმაც მეფე ვერ იცნო, რადგან არ ენახა და უბრალო ტანისამოსიც ეცვა. დიასახლისი მიეგება ქალური სტუმარ-მოყვარეობით და გულ-უხვად გაუმასპინძლდა. როცა გაიგო, რომ სტუმარი ლაშქრობიდან მოდიოდა, ჰკთხა თავისი ქმრისა და შვილების ამბავი. სტუმარმა მათი არაფერი იცოდა და ვერაფერი უპასუხა. მაშინ ამ გლეხის, ტეტიას ცოლმა წარმოთქვა: „ ნეტავი ქვეყნის პატრონი მეფე ღმერთმა დაიფაროს და ჩემი ქმარ-შვილნი სულ მას შეენაცვლნენო. მეორე დღეს სტუმარი გაემგზავრა თბილისისაკენ.

ცოტა ხნის შემდეგ, ამ ქალის ქმარს სვიმონ მეფისაგან აზნაურობა მოუვიდა. მხოლოდ მაშინ შეიტყო გლეხის ცოლმა, თუ ვინ ყოფილიყო მისი უცნობი სტუმარი.“

„ეს მაგალითი, - წერს იაკობ გოგებაშვილი, - მოწამეა იმისა, რომ მამულის სიყვარული,

ქვეყნის პატრონის - მეფის ერთგულება იმდენად ძლიერი იყო ორივე სქესის გლეხთა შორის, რომ სჭარბობდა საკუთარი სახლობის სიყვარულსა, მეორე მხრივ, ეს ამბავი გვიჩვენებს, თუ რა პატრიარქალური ურთიერთობა და კავშირი სუფევდა ჩვენს მეფეთა და გლეხთა შორის."

იაკობ გოგებაშვილის აღნიშნავს, რომ: „ეს ურთიერთობა მოშორებული იყო ამ სამარცხვინო კუდაბზიკობას, რომელიც გლეხთან კრებულს ეძახის „ტეტიათა გროვას" და რომელიც ამას წინადაც გამოაჩინა გიორგი წერეთელმა, როცა დაბეჭდა გაზეთი „კვალის" ფურცლებზედ: „მარგალურად სკუა ნიშნავს გლეხს. და ბ-ნ გუნიას შესახებ ეს სიტყვა ვიხმარე ზიზღის გამოსათქმელადო... მისი (გ. წერეთლის) აზრით, გლეხი სალანძღავი, საზიზღარი სახელი ყოფილა. ყოჩაღ, მესანე დასის არამკითხე მეთაურს!.. ჩვენდა სასიხარულოდ, უმრავლესიბამ, ჩვენმა თავადაზნაურობამ, დიდი ხანია, ზურგი შეაქცია ვიწრო წოდებრივ პრინციპებსა და მტკიცედ დაადგა უკვდავი რუსთველის მცნებას: თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა."

„ინგილო ქალის გარდა, კრიტიკოსები წუნს სდებენ ჩვენი მოთხრობის მეფე ერეკლესაც.

ქალის ეს საქციელი ძლიერ მოეწონა მეფეს და კიდევაც დაასაჩუქრა. მან დიდი პატივი სცა გლეხის ქასის მამულიშვილობას, აქო, დაასაჩუქრა, მზითვი გაუგზავნა შემდეგში და შვილებიც მოუნათლა. ამისთანა არ უნდა იყოს სახალხო მოთხრობაო, ბრძანებს ბ-ნი გიორგი წერეთელი. მაშ რანაირი უნდა იყოს? უთუოდ „რუხი მგლის" მსგავსი.

თვით „კვალის" მკითხველებს ეს :რუსი მგელი" მიაჩნდათ ფუქსავატ ნაცოდვილარად, რომელიც იოსტის ოდენა საზრდოს არ აძლევს არც გონებას და არც ფანტაზიას კაცისას... ასე ვფიქრობთ, მით უმეტეს ახლა, როცა „კვალის" კრიტიკანებმა ვერც ერთი ნამდვილი შეუსაბამობა ვერ აღმოაჩინეს მოთხრობაში. თუმცა ეს შეუსაბამობა უძებნიათ შიგ დიდი წყურვილით, სულ-წასულობით და მოუთმენლობით. ამით მათ ერთხელ კიდევ ისახელეს თავი მკითხველის საზოგადოების წინაშე „უძლური ბოროტებით" იმედია, კვლავაც ისახელებენ."

წერს იაკობ გოგებაშვილი თავის ვრცელ წერილში და აქვე გულნატკენი აღნიშნავს: „თავადაზნაურობა წინ მიდის, ბატონი გიორგი წერეთელი კი ისეთი სისწრაფით გარბის უკან, რომ თავისი კუდაბზიკას, მგზავრის წერილებში გამოყვანილის, უკან მოექცა... კუდაბზიკობის მასხრად ამგდებელი ყმაწვილობაში, თავის სიბერეში შეიქმნა მოტრფიალე ამ სამარცხვინო კუდაბიზკობისა."

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილმა გარკვეული სოციალური მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენა გიორგი წერეთლის მიერ შექმნილი კუდაბზიკას სახე და განაზოგადა. სწორედ ამ წერილში ვხვდებით პირველად „ კუდაბზიკობას", როგორც საზოგადოებრივ მოვლენას და მისი ზოგადი გააზრების ფაქტს. და მიუხედავად იმისა, რომ ამავე წერილში იაკობ გოგებაშვილი გულნატკენილი აკრიტიკებს გიორგი წერეთელს, მის მოთრობას „რუხი მგელი", კუდაბზიკობის, როგორც ცნების განზოგადებით, ის ერთგვარად აღიარებს გიორგი წერეთლის, როგორც მწერლის ნიჭსა და ტალანტს, რომელსაც თავისი თანამედროვე ეპოქის საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენაც შეეძლო და მისი ობიექტური შეფასებაც.

დასკვნა. დაბოლოს, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გიორგი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის დიდ საგანძურში მათთვის შესაფერის ადგილებზე განათავსა ყველაზე პირუთვნელმა მსაჯულმა - დრომ და ქართველმა მკითხველმა და მათ შორის წამოჭრილი საკამათო საკითხებიც თავისთავად გაარკვია განვლილმა წლებმა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, აღნიშნული წერილების კვლევა დღესაც მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რადგან ასახავს არა მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი მოღვაწის

ურთიერთობას, არამედ გვაძლევს ხედვას, თუ როგორ ფორმირდებოდა ლიტერატურული დისკუსიები, საზოგადოებრივი აზრი და ეროვნული თვითშეგნება XIX საუკუნის საქართველოში.

ლიტერატურა:
გოგებაშვილი, ი. (1897, 162). "უძლური ბოროტება". *"ივერია"*, #161-162
წერეთელი, გ. (1897). *"კვალი"*, #28-29

Powerless Evil

(*Iveria*, 1897, Nos. 161–162)

Kajaia Manana
Georgian Technical University

Abstract

This article examines Iakob Gogebashvili's essay *Powerless Evil* (*Iveria*, 1897, Nos. 161–162), written in response to Giorgi Tsereteli's unfavorable critique of his children's stories *The Guardian of the Harvest* and *King Erekle and the Ingilo Woman*. Gogebashvili denounces both *Kvali*'s editorial stance and Tsereteli's evaluation, arguing that the criticism was shaped by personal bias rather than by literary or historical criteria.

In defending *King Erekle and the Ingilo Woman*, Gogebashvili asserts its historical plausibility, citing oral traditions and Aleksandre Orbeliani's accounts. He highlights the longstanding tradition of Georgian women's courage, documented in chronicles and preserved in collective memory, pointing to figures such as Princess Tekla as emblematic of national self-consciousness.

The essay also underscores the patriotism and civic virtue of the Georgian peasantry, qualities disregarded by *Kvali*'s critic. Gogebashvili interprets this omission as evidence of the journal's social shortcomings and condemns its dismissive attitude toward the peasant class. While polemical in tone, the text nonetheless acknowledges Tsereteli's literary talent and his influence on public opinion.

By situating this exchange within the broader context of nineteenth-century Georgian letters, the essay illustrates the dynamics of literary polemics and the contested space of national and social representation in Georgian literary criticism.

Keywords: *Iakob Gogebashvili, Giorgi Tsereteli,* Iveria*,* Kvali*, literary criticism, polemics,* Powerless Evil*,* King Erekle and the Ingilo Woman*, Georgian women, national consciousness*.